პიროვნული ღირებულებები და ასაკი, როგორც აღზრდაში ავტონომიის მხარდაჭერისადმი შეხედულების პრედიქტორები

თამარ ბურდული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბურდული

17 ივნისი 2021

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო, დაედგინა, შვარცის ადამიანის ღირებულებათა თეორიის ღირებულებებიდან შერჩეული 12 ღირებულებიდან რომლები წინასწარმეტყველებს აღზრდაში ავტონომიის მხარდაჭერისადმი შეხედულებას და არის თუ არა ასაკი ამ ცვლადის ერთ-ერთი პრედიქტორი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო არაშემთხვევითად შერჩეულმა 398-მა რესპონდენტმა. მრავლობითმა რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღზრდაში ავტონომიის მხარდაჭერისადმი შეხედულებას თორმეტიდან ექვსი ღირებულება წინასწარმეტყველებს. დამოკიდებულ ცვლადს დადებითად წინასწარმეტყველებს ზრდაზე ორიენტირებული და შფოთვისგან თავისუფალი ორი ღირებულება - ავტონომიური მოქმედება და უნივერსალიზმი-ზრუნვა. შფოთვის შემცირებაზე და თავდაცვაზე ორიენტირებული ოთხი ღირებულება - ტრადიცია, იმიჯი, მიღწევა, ძალაუფლება-დომინანტობა, უარყოფითად წინასწარმეტყველებს მას. ტრადიცია ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა. ასაკი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი არ აღმოჩნდა, თუმცა, კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკი დადებითად უკავშირდებოდა სოციალური ფოკუსის მქონე ღირებულებებს, ხოლო უარყოფითად პიროვნული ფოკუსის მქონე ღირებულებებს. დამატებით, კვლევამ აჩვენა განათლების, დასახლების ტიპის და შემოსავლის მცირე ეფექტები ავტონომიის მხარდაჭერისადმი შეხედულებაზე. შედეგები მიმოხილულია თვითდეტერმინაციის თეორიასთან და არსებულ კვლევებთან მიმართებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ავტონომიის მხარდაჭერა, ღირებულებები, თვით-დეტერმინაცია.

Abstract

The study aimed to identify which values from the 12 values from the Schwartz human value theory predict views on autonomy support in parenting and whether age is one of the predictors. 398 non-randomly selected individuals participated in the survey. Multiple regression analysis showed that six out of 12 selected values predict the view on autonomy support in parenting. Two anxiety-free and growth-oriented values – autonomous acting and universalism-care positively predicted the dependent variable, while four values self-protection and anxiety–control values - tradition, image, achievement and power-dominance negatively predicted the dependent variable. Tradidion most strongly predicting the view on autonomy support in parenting. Age was not found as a statistically significant predictor. Although, correlational analysis showed that age was positively correlated to values with social focus, and negatively related to values with personal focus. Additionally, the study demonstrated small effect of education, settlement type and income on views on autonomy support. The implications of the results within the Self-Determination Theory (SDT) and existing research are discussed.

Key Words: autonomy support, values, self-determination.

მადლობა

ასისტენტ-პროფესორ ნინო სხირტლაძეს, რომ ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი იყო, რაც ჩემთვის დიდი პატივია, და რომ როგორც დისერტაციაზე მუშაობისას, ასევე სამაგისტრო პროგრამის მანძილზე უზრუნველმყოფდა მრავალი რელევანტური სასწავლო და სამეცნიერო რესურსებით და ღირებული უკუკავშირით, რამაც ხელახლა და კიდევ უფრო მეტად შემაყვარა კვლევითი საქმიანობა და რის გარეშეც ამ ნაშრომის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იქნებოდა. ასისტენტ-პროფესორ ანა მაყაშვილს, რომელიც ამ ნაშრომის მომზადებისას ასევე უზრუნველმყოფდა სამეცნიერო რესურსებითა და ღირებული უკუკავშირით, განსაკუთრებით, ჩემი ნაშრომისთვის სპეციფიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავების თვალსაზრისით. ჩემს თანაჯგუფელს, ანა აბზიანიძეს და ჩემს მეგობარ ნინო გუგუშვილს, რომელთაც პროგრამის განმავლობაში მნიშვნელოვანი დრო და რესურსი დამითმეს, რამაც საშუალება მომცა, ჩემს ნაშრომში მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზი თავდაჯერებით განმეხორციელებინა. ჩემს ყველა რესპონდენტს, რომელთაც თავიანთი დღის 30 წუთი ჩემს კვლევაში მონაწილეობას დაუთმეს. და ბოლოს, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თავს იმისათვის, რომ არ დანებდა.